5 ბ9
1963 | 3.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 30 (227) 31 ოქტომბერი 1963 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

ნაწილი I

განყოფილება პირველი

445. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოსთან არსებული ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტის გარდაქმნის შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ვაჭრობის საკავშირო-რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტად.

446. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ მატარებლის თვითნებური გაჩერებისათვის, როცა ეს საჭირო არ არის.

9049.

განყოფილება მეორე

447. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ი. ბირიუკოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

448. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა კავშირის მარშალ ა. ა. გრეჩკოს ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

449. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ ა. გ. ბიკჩენტაევის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.

450. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ე. ბორისოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

451. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გაზეთ „სოვეტ ტოჟიკისტონის“ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

452. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კომპოზიტორ ა. დ. მაჭავარიანის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.

453. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ზაპოროჟიეს ავტომობილების ქარხანა „კომუნარის“ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

454. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. ო. ფილიმონოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

455. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. ა. სტეპანოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

456. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ი. ი. პოტეხინის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

457. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ლ. მ. გატოვსკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

458. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ე. კოჩინიანის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.
ცნობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების შესახებ.

ნაწილი II

განყოფილება პირველი

459. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ზუგდიდისა და თელავის საქალაქო და რაიონული საბჭოების მუშაობაში საზოგადოებრივი თვითმოქმედი ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ.

460. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ბოლნისის, ახალქალაქისა და საჩხერის რაიონების მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიების მუშაობის შესახებ.

461. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სოფლის მოსახლეობის კინომომსახურების მდგომარეობის შესახებ.

462. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების გურჯაანის რაიონის ვეჯინის № 168 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

463. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ე. ჭახრაკიას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

464. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ნ. ჯიბლაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

465. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საბჭოთა მილიციის წითელი დროშის დაწესების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი I

განყოფილება პირველი

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

445 სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოსთან არსებული ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტის გარდაქმნის შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ვაჭრობის საკავშირო-რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტად

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. გარდაიქმნას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოსთან არსებული ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ვაჭრობის საკავშირო-რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტად.

2. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დაამტკიცოს იმ ორგანიზაციებისა და საწარმოების ნუსხა, რომლებიც უნდა გადაეცეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 16 ოქტომბერი.

№ 1779-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

446 სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ მატარებლის თვითნებური გაჩერებისათვის, როცა ეს საჭირო არ არის

იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მატარებლის თვითნებური გაჩერებისათვის, როცა ეს საჭირო არ არის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაწესდეს, რომ მატარებლის თვითნებური გაჩერება, როცა ეს საჭირო არ არის, საჩერი ონკანით, საჰაერო სამუხრუჭო მაგისტრალის გათიშვის გზით ან სხვა საშუალებით, თუ ამან მატარებლების ნორმალური მოძრაობის დარღვევა გამოიწვია, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე ან გამასწორებელი მუშაობით ერთ წლამდე ვადით.

იგივე მოქმედება, თუ მან გამოიწვია ადამიანებისათვის უბედური შემთხვევა, მატარებლის მარცხი, მოძრავი შემადგენლობის დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგები, —

ისჯება რვა წლამდე თავისუფლების აღკვეთით.

2. წინადადება მიეცეს მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს შეიტანონ მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამართლის კოდექსებში ცვლილებები და დამატებები ამ ბრძანებულების შესაბამისად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 21 ოქტომბერი.
№ 1797-VI.

განყოფილება მეორე

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

447 ამხ. ი. ი. ბირიუკოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით გორკის მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამრეწველო) საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ივანე ილიას ძე **ბირიუკოვი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 16 ოქტომბერი.
№ 1780-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

448 საბჭოთა კავშირის მარშალ ა. ა. გრეჩკოს ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე ღიდი დამსახურებისათვის და დაბადების სამოცწელთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის მარშალი ანდრია ანტონის ძე **გრეჩკო** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 16 ოქტომბერი.
№ 1781-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

449 მწერალ ა. გ. ბიჭჩენტაევის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით მწერალი ანვერ გადეის ძე **ბიჭჩენტაევი** დაჯილდოვდეს **„საპატიო ნიშნის“** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 17 ოქტომბერი.
№ 1782-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

450 ამხ. ა. ვ. ბორისოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით სკკპ სვერდლოვსკის სასოფლო საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ალექსანდრე ვასილის ძე **ბორისოვი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 17 ოქტომბერი.
№ 1783-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

451 გაზეთ „სოვეტ ტოჟიკისტონის“ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ტაჯიკეთის მშრომელთა კომუნისტურად აღზრდისა და კომუნისტური მშენებლობის ამოცანათა წარმატებით შესრულებისათვის მათ დასარაზმავად მრავალი წლის ნაყოფიერი მუშაობის გამო, მეათიათასე ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით რესპუბლიკური გაზეთი **„სოვეტ ტოჟიკისტონი“** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 17 ოქტომბერი.
№ 1784-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

452 კომპოზიტორ ა. დ. მაჭავარიანის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით კომპოზიტორი ალექსი დავითის ძე **მაჭავარიანი** დაჯილდოვდეს **„საპატიო ნიშნის“** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 17 ოქტომბერი.
№ 1785-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

453 ზაპოროჟიეს ავტომობილების ქარხანა „კომუნარის“ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ახალი მანქანების შექმნასა და სატრანსპორტო და სასოფლო-სამეურნეო მოსავლის ასაღები ტექნიკით სახალხო მეურნეობის აღჭურვაში დამსახურებისათვის და დაარსების 100 წელთან დაკავშირებით **ზაპოროჟიეს ავტომობილების ქარხანა „კომუნარი“** დაჯილდოვდეს **„შრომის წითელი დროშის“** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 19 ოქტომბერი.
№ 1788-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

454 ამხ. დ. თ. ფილიმონოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოცწელთან დაკავშირებით ბელორუსიის კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის ბიუროს თავმჯდომარე ამხ. დიმიტრი თომას ძე **ფილიმონოვი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 19 ოქტომბერი.
№ 1789-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

455 ამხ. ს. ა. სტეპანოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მანქანათმშენებლობის დარგში მრავალი წლის ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე — სსრ კავშირის მინისტრი ამხ. სერგი ალექსანდრეს ძე **სტეპანოვი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 19 ოქტომბერი.
№ 1790-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

456 პროფესორ ი. ი. პოტეხინის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა აფრიკანისტიკის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით პროფესორი ივანე იზოსიმის ძე **პოტეხინი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 22 ოქტომბერი.
№ 1798-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

457 სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ლ. მ. გატოვსკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მრავალი წლის სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ლევ მარკის ძე **გატოვსკი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 22 ოქტომბერი.
№ 1799-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

458 **ამხ. ა. ე. კოჩინიანის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ**

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ანტონ ერვანდის ძე **კოჩინიანი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 24 ოქტომბერი.

№ 1809-VI.

განკოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ლვოვის სახალხო მეურნეობის საბჭოს როზდოლის სამთო-ქიმიური კომბინატის გოგირდის წარმოების საპროექტო სიმძლავრეთა ვადამდე ათვისებაში მოპოვებული მიღწევებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1963 წლის 16 ოქტომბრის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა 100 მუშა, ინჟინერ-ტექნიკური და ხელმძღვანელი მუშაკი, რომელთაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან: როზდოლის სამთო-ქიმიური კომბინატის მუშაკები — ექსკავატორის მემანქანე ვ. ი. ბიზიაევი, ექსკავატორის მემანქანეთა ბრიგადირი გ. მ. ბურიაჩეკი, მაღაროს უფროსი ა. ა. გოლოვინი, კომბინატის დირექტორი ი. ა. ივანიკოვი, მეავტოკლავე ი. ს. კოვალი, მეავტოკლავე ს. ზ. შპილიკი და ტრესტ „პრომხიმსანტეხმონტაჟის“ როზდოლის № 27 სპეციალიზებული სამონტაჟო სამმართველოს მემონტაჟეთა ბრიგადირი ვ. გ. სმიშკო.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 11 კაცი, **საპატიო ნიშნის“** ორდენით — 27, მედლით **„შრომითი მამაცობისათვის“** — 26 და მედლით **„შრომითი წარჩინებისათვის“** — 29 კაცი.

ბრძანებულება გამოქვეყნებულია „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“.

ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების შესახებ

1963 წლის 29 სექტემბერს გაიმართა არჩევნები კავშირის საბჭოს ორენბურგის ოლქის ყამირის № 267 საარჩევნო ოლქში და ეროვნებათა საბჭოს ყაზახეთის სსრ ყიზილ-ორდის № 113 საარჩევნო ოლქში.

კავშირის საბჭოს დეპუტატად ორენბურგის ოლქის № 267 საარჩევნო ოლქიდან არჩეულია ამხ. გრიგოლ ალექსანდრეს ძე **სმოლიანოვი,** ორენბურგის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლქის კვარკენოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს საბჭოთა მეურნეობა „კულმინსკის“ ბრიგადირი.

ეროვნებათა საბჭოს დეპუტატად ყაზახეთის სსრ ყიზილ-ორდის № 113 საარჩევნო ოლქიდან არჩეულია ამხ. ჟალგასბაი **სუტიბაევი**, ყაზახეთის სსრ სამხრეთ-ყაზახეთის მხარის ყიზილ-ორდის ოლქის კაზალინსკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს კაზალინსკის საბჭოთა მეურნეობის მეცხვარე.

ნაწილი II

განყოფილება პირველი

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

459 ზუგდიდისა და თელავის საქალაქო და რაიონული საბჭოების მუშაობაში საზოგადოებრივი თვითმოქმედი ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა და პარტიის პროგრამის მოთხოვნილებათა შესაბამისად ზუგდიდისა და თელავის საქალაქო და რაიონული საბჭოები ფართოდ ნერგავენ საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობის პრაქტიკას.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ საბჭოების და მათი აღმასკომების საქმიანობაში, ეხმარებიან მათ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებების შესრულებაში. საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა ვაჭრობის, შენებლობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, საორგანიზაციო განყოფილებები. აღნიშნულ რაიონებში და ქალაქებში საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობენ სახალხო განათლების, კულტურულ-საგანმანათლებლო და საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებათა საბჭოები, სახლის, ქუჩის კომიტეტები, სახალხო რაზმები, ამხანაგური სასამართლოები, პენსიონერთა საბჭოები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც აერთიანებენ საქმის მცოდნე, ავტორიტეტულ, პრაქტიკული გამოცდილების მქონე მუშაკებს.

დადებითი მუშაობის კარგ მაგალითს იძლევა თელავის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის შტატგარეშე განყოფილება, რომელმაც შეისწავლა საქვაჭრობის თელავის განყოფილების მუშაობა. მის მიერ გამოვლინებული ნაკლოვანებების ლიკვიდაციისათვის მიღებული იქნა კონკრეტული ზომები.

თელავის რაიონის სოფლებში საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობს 12 სასოფლო ბიბლიოთეკა, რომლებიც დიდ მუშაობას ეწევიან მოსახლეობაში წიგნის პროპაგანდისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდ მხარდაჭერას პოულობს კულტურის სახლებისა და კლუბების საბჭოების მუშაობა, რომელთა თაოსნობით თვითმოქმედი კოლექტივების ძალებით ხშირად იმართება საღამო-წარმოდგენები და კონცერტები, პერიოდულად ეწყობა შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან, იმართება თემატური და კითხვა-პასუხის საღამოები და სხვ.

თელავის რაიონულ საბჭოსთან საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილია ჯანმრთელობის დაცვის სახალხო უნივერსიტეტი, რომელშიც ჩაბმული არიან ავრეთვე გურჯაანის, ყვარლისა და სიღნაღის რაიონების მცხოვრებლები.

სერიოზულ მუშაობას ატარებენ ქალაქ თელავის მასწავლებელთა სახლთან, სოფელ იყალთოს და სოფელ ჯოყოლოს კულტურის სახლებთან არსებული სახალხო უნივერსიტეტები.

რაიონებისა და ქალაქების ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში გარკვეული წვლილი შეაქვთ სახალხო რაზმებს, ქუჩისა და სახლის კომიტეტებს, ამხანაგურ სასამართლოებს.

კარგად მუშაობს ზუგდიდის საქალაქო საბჭოსთან არსებული პენსიონერთა საბჭო. მან გამოავლინა პენსიების არასწორად დანიშვნის 17 შემთხვევა. საბჭო ეხმარება პენსიონერებს საპენსიო საბუთების გაფორმებასა და საჭირო დოკუმენტების შეგროვებაში.

ამასთან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ზუგდიდისა და თელავის რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს სერიოზული ნაკლოვანებანი გააჩნია საზოგადოებრივი თვითმოქმედი ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობისა და დახმარების საქმეში. საზოგადოებრივი ორგანიზაციები ნაკლებად მონაწილეობენ დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობაში, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში, კულტურულ-საგანმანათლებლო, სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებათა საქმიანობაში.

იმის გამო, რომ აღნიშნულმა საბჭოებმა დაგვიანებით შექმნეს შტატგარეშე განყოფილებები, ზოგიერთი მათგანი ჯერ კიდევ არ შესდგომია მუშაობას.

სუსტად მუშაობენ ქალაქ ზუგდიდში და დაბა წალენჯიხაში ქუჩის კომიტეტები, მიუხედავად იმისა, რომ იქ ადგილი აქვს სოციალისტური კანონიერების ღარღვევის ფაქტებს.

არ მოქმედებენ ზუგდიდის რაიონის დარჩელის, ლიის და ჯვარის სასოფლო საბჭოების სახალხო რაზმები, ხოლო ქვემო ქვალონის სასოფლო საბჭოში სახალხო რაზმები საერთოდ არ შეუქმნიათ.

ზემოდ აღნიშნული ნაკლოვანებანი საზოგადოებრივი თვითმოქმედი ორგანიზაციების ხელმძღვანელობის საქმეში ძირიოადად გამოწვეულია იმით, რომ ზუგდიდისა და თელავის რაიონიული და საქალაქო საბჭოების აღმასკომები სისტემატურად არ სწავლობენ მათ მუშაობას, არ ახდენენ გამოცდილების განზოგადებას, არ აწყობენ მათთვის სემინარებს, ნაკლებკონკრეტულ დახმარებას უწევენ პრაქტიკულ საქმიანობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს თელავისა და ზუგდიდის საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს მიიღონ გადამჭრელი ზომები საზოგადოებრივი თვითმოქმედი ორგანიზაციების მუშაობის გასაუმჯობესებლად, მათი საქმიანობა წარმართონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის, პარტიის პროგრამისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, რისთვისაც:

ა) ფართოდ ჩააბან საზოგადოებრივი თვითმოქმედი ორგანიზაციები საბჭოების წინაშე მდგარი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის პრაქტიკული საკითხების გადაჭრაში, დახმარება გაუწიონ სესიებისა და აღმასკომების სხდომისათვის საკითხების მომზადებაში;

ბ) პერიოდულად განიხილონ საბჭოების სესიებზე და აღმასკომების სხდომებზე საზოგადოებრივი თვითმოქმედი ორგანიზაციების მუშაობის საკითხები და დასახონ კონკრეტული ღონისძიებები არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის, ამასთან მიიღონ გადამჭრელი ზომები საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლის შემდგომი ამაღლებისათვის;

გ) რეგულარულად ჩაატარონ საზოგადოებრივი თვითმოქმედი ორგანიზაციების საინსტრუქტაჟო თათბირები და სემინარები ამ ორგანიზაციების საქმიანობასთან დაკავშირებულ პრაქტიკულ საკითხებზე;

დ) სისტემატური დახმარება გაუწიონ შტატგარეშე განყოფილებებს, მხარი დაუჭირონ მათს ინიციატივას, დროულად განიხილონ მათ მიერ შემოტანილი წინადადებები და მიიღონ ზომები ამ წინადადებათა განსახორციელებლად;

ე) უზრუნველყონ მოსახლეობის ფართო აქტივის ჩაბმა საზოგადოებრივი თვითმოქმედი ორგანიზაციების მუშაობაში, მიაღწიონ იმას, რომ ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მოსახლეობა აქტიურ მონაწილეობას ღებულობდეს დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობაში, სანიტარული წესრიგის დაცვაში, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობასა და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების საქმეში;

ვ) საზოგადოებრივი თვითმოქმედი ორგანიზაციების ყურადღება გაამახვილონ სოციალისტური საკუთრების დაცვაზე, სოციალისტური კანონიერების განმტკიცებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევების წინააღმდეგ სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლის გაძლიერების აუცილებლობაზე;

ზ) სისტემატურად მოახდინონ საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ დაგროვილი მოწინავე გამოცდილების განზოგადება, რისთვისაც ფართოდ გამოიყენონ ადგილობრივი პრესა და რადიო.

2. დაევალოს რესპუბლიკური გაზეთების რედაქციებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტს მეტი ყურადღება მიაქციონ საზოგადოებრივი თვითმოქმედი ორგანიზაციების მუშაობის საკითხების გაშუქებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. დაევალოს საქართველოს სსრ სამინისტროებს და უწყებებს სისტემატური დახმარება გაუწიონ შესაბამისი დარგის საზოგადოებრივ თვითმოქმედ ორგანიზაციებს მათს მუშაობაში.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს შეისწავლონ და განიხილონ საზოგადოებრივი თვითმოქმედი ორგანიზაციების მუშაობა და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი მისი გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1963 წლის 10 ოქტომბერი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

460 ბოლნისის, ახალქალაქისა და საჩხერის რაიონების მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიების მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ბოლნისის, ახალქალაქისა და საჩხერის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოებმა და მათმა აღმასკომებმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის და პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრისა და ივნისის პლენუმების ისტორიული გადაწყვეტილებების საფუძველზე შესამჩნევად გააუმჯობესეს მუშაობა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში.

საბჭოები და მათი აღმასკომები თავიანთ მუშაობაში მტკიცედ ეყრდნობიან საზოგადოებრიობას, ფართოდ იზიდავენ მოსახლეობას ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მმართველობაში. საგრძნობლად გაუმჯობესდა საბჭოების მუდმივი კომისიების მუშაობა, რომელთა საქმიანობაში, გარდა დეპუტატებისა, ჩაბმულია მოწინავე კოლმეურნეების, მუშებისა და მოსამსახურეების ფართო აქტივი.

კომისიები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ საბჭოების სესიებისა და აღმასკომების სხდომებისათვის საკითხების მომზადებაში და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაში.

საჩხერის რაიონის ნიგოზეთის სასოფლო საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივმა კომისიამ აქტივის მონაწილეობით შეისწავლა მოსახლეობისგან სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის მდგომარეობა და ამ საქმეში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსწორების მიზნით საკითხი შეიტანა სასოფლო საბჭოს აღმასკომის განსახილველად მიღებული ღონისძიებების შედეგად მოსახლეობიდან სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის 9 თვის გეგმა დიდი გადაჭარბებით შესრულდა.

ამავე რაიონის არგვეთის სასოფლო საბჭოს სახალხო განათლების კომისიის მიერ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების საკითხის შესწავლისას გამოვლინებულ იქნა, რომ საბჭოში შემავალი სკოლებიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

განთესილი იყო 14 მოსწავლე. კომისიამ საკითხი შეიტანა საბჭოს სესიის განსახილველად და მიიღო ზომები განთესილი მოსწავლეების სწავლებაში ჩასაბმელად.

ახალქალაქის რაიონის არაკვის სასოფლო საბჭოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისიის ინიციატივით სოფლებში ოლიაერდში და გომანში გაიხსნა პურის საცხობები, ხოლო ჯანმრთელობის დაცვის მუდმივი კომისიის ინიციატივით სოფელ ზაკვში — სამედიცინო პუნქტი.

ახალქალაქის რაიონის ბოგდანოვკის სადაბო საბჭოს სახალხო განათლებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის მუდმივმა კომისიამ აქტივის ფართო მონაწილეობით შეისწავლა სოფელ ჯიგრაშენის და პატარა ხანჩალის სკოლების, სოფელ დიდი ხანჩალის და კათნატუს სასოფლო კლუბების, ბოგდანოვკის სადაბო ბიბლიოთეკის მუშაობა და საკითხი განსახილველად შეიტანა აღმასკომის სხდომაზე. მიღებული ზომების შედეგად ამ დაწესებულებათა საქმიანობა საფუძვლიანად გარდაიქმნა.

კარგად მუშაობენ აგრეთვე ახალქალაქის რაიონის ვაჩიანის, გორელოვკის, ალასტანის და ბოლნისის რაიონის იმირასანის სასოფლო საბჭოების მუდმივი კომისიები.

ამასთან ერთად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ახალქალაქის, საჩხერის და განსაკუთრებით ბოლნისის რაიონების ზოგიერთი ადგილობრივი საბჭოს მუდმივი კომისიების მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

ზოგიერთი მუდმივი კომისია არ ადგენს სამუშაო გეგმებს, იშვიათად ატარებს სხდომებს, არ იღებს მონაწილეობას საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობაში.

სუსტად მუშაობენ საჩხერის რაიონული საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო, საგზაო მშენებლობის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, საჩხერის სადაბო საბჭოს სოფლის მეურნეობის, ახალქალაქის რაიონის ბარალეთის და კოჩიოს სასოფლო საბჭოების მუდმივი კომისიები. მათ არა აქვთ სამუშაო გეგმები, მუშაობაში ჩაბმული არ ჰყავთ აქტივი.

დღიდან არჩევნებისა არავითარი მუშაობა არ ჩაუტარებიათ ბოლნისის რაიონული საბჭოს მუდმივ კომისიებს. ანალოგიური მდგომარეობაა ბოლნისის სადაბო საბჭოშიც. ადგილი აქვს შემთხვევებს, როცა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი დროულად არ იხილავს მუდმივი კომისიის მიერ განსახილველად შეტანილ საკითხს. ასე მაგალითად, საჩხერის რაიონის ჭალოვანის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა ორ თვეს გააჭიანურა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის შესახებ სახალხო განათლებისა და კულტურის კომისიის მიერ მომზადებული საკითხის განხილვა.

შემოწმებული რაიონული საბჭოებიდან არც ერთს არ მოუსმენია სესიაზე თავისი მუდმივი კომისიების ანგარიში.

მუდმივი კომისიების მუშაობის სერიოზულ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ჯერ კიდევ სუსტია მათი კავშირი საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. რაიონული საბჭოები პერიოდულად არ ატარებენ სასოფლო და სადაბო საბჭო-

ებისა და მათი მუდმივი კომისიების ხელმძღვანელების თათბირ-სემინარებს, არ აცნობენ მათ მინიჭებულ უფლება-მოვალეობებს, არ ღებულობენ ზომებს მუდმივი კომისიების როლის ასამაღლებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს ახალქალაქის, ბოლნისის და საჩხერის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრისა და ივნისის პლენუმების ისტორიული გადაწყვეტილებათა საფუძველზე შეიმუშაონ პრაქტიკული ღონისძიებანი მუდმივი კომისიების მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, რისთვისაც:

ა) სისტემატურად ჩაატარონ საბჭოების აღმასკომებისა და მუდმივი კომისიების ხელმძღვანელთა თათბირ-სემინარები ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის საკითხებზე, მოაწყონ ლექცია-მოხსენებები და კონსულტაციები საბჭოთა მშენებლობის პრაქტიკულ საკითხებზე, განაზოგადონ დეპუტატების, მუდმივი კომისიების და მათი აქტივის მუშაობის მოწინავე გამოცდილება, ვრცლად გააცნონ მათი უფლება-მოვალეობანი;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მუდმივი კომისიების ჩაბმას სესიებისა და აღმასკომებისათვის საკითხების მომზადება-განხილვაში, მიაღწიოს იმას, რომ კომისიები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაში, აგრეთვე მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობის საქმეში;

გ) ფართოდ ჩააბან მუდმივი კომისიების მუშაობაში დეპუტატები და აქტივი, დაეხმარონ კომისიებს სამუშაო გეგმების შედგენასა და საკითხების შესწავლაში, არ დაუშვან კომისიების მიერ შემოტანილი საკითხების რეაგირების გარეშე დატოვება, დაეხმარონ მუდმივ კომისიებს გამსვლელი სხდომების მოწყობაში;

დ) სისტემატურად გააშუქონ ადგილობრივ პრესაში საბჭოების მუდმივი კომისიების, დეპუტატების და აქტივის მუშაობის საკითხები, ამ საქმეში ფართოდ მიიზიდონ აღმასკომებისა და მუდმივი კომისიების წევრები, დეპუტატები და მოწინავე სპეციალისტები;

ე) დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი საზოგადოებრივ თვითმოქმედ ორგანიზაციებთან მუდმივი კომისიების კავშირის შემდგომი განმტკიცებისათვის;

ვ) უზრუნველყონ საბჭოების მუდმივი კომისიების სისტემატური ანგარიშგება შესაბამისი საბჭოს წინაშე.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს საბჭოების სესიებზე განიხილონ მუდმივი კომისიების მუშაობის საკითხი და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისათვის.

3. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებას ამ დადგენილების შესრულების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმდინარეობა მოახსენოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1964 წლის 1 კვარტალში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1963 წლის 10 ოქტომბერი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

461 სოფლის მოსახლეობის კინომომსახურების მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და კულტურის მუდმივი კომისიის მიერ ჩატარებული შემოწმებით დადგენილია, რომ მოსახლეობის კინომომსახურება რესპუბლიკაში ამ ბოლო დროს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. დიდი მუშაობაა გაწეული კინოქსელის განვითარებისათვის. 1957 წლის 1 იანვრიდან დღემდე აშენებულია 71 საზამთრო და 12 საზაფხულო კინოთეატრი 33.400 ადგილით. ამჟამად სოფლად მოქმედებს 960 კინოთეატრი და კინოდანადგარი, ქალაქებში, დაბებსა და მუშათა დასახლებულ პუნქტებში — 240.

საქალაქო კინოდანადგარები ძირითადად აღჭურვილია უახლესი კინოაპარატურითა და მოწყობილობით, ხოლო სასოფლო კინოდანადგარები — ნახევრად მოძრავი ტიპის უახლესი კინოაპარატურით. საგრძნობლად გაუმჯობესდა სოფლის კინოქსელის ხარისხიც. თუ ორიოდე წლის წინათ კინომოძრავები სოფლის კინოდანადგართა უმრავლესობას შეადგენდა, ამჟამად მათი რიცხვი დანადგართა საერთო რაოდენობის მხოლოდ 23,1 პროცენტია.

კინოქსელის საგრძნობი გაფართოებისა და ჩვენების ხარისხის გაუმჯობესების შედეგად, უკანასკნელ 10 წელიწადში მარტო ფასიანი კინოსეანსების მაყურებელთა რაოდენობა 18 მილიონიდან წელიწადში გაიზარდა 39 მილიონამდე. შემოსავალი კი, ბილეთების ფასის მნიშვნელოვანი შემცირების მიუხედავად, — 6-დან 12,5 მილიონ მანეთამდე; ორჯერ და მეტადაა გაზრდილი საშუალოდ თითოეული მცხოვრების მიერ კინოსეანსებზე დასწრება, მათ შორის ქალაქად — 8-დან 16,9-მდე, ხოლო სოფლად — 1,8-დან 4,2-მდე.

მიუხედავად ამისა, სოფლის მოსახლეობის კინომომსახურების საქმეში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. მთავრობის არაერთი დადგენილების მიუხედავად, ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა დღემდე ვერ უზრუნველყვეს ყოველ სოფელში კინოჩვენების ორგანიზაცია. ბევრ მსხვილ სასოფლო დასახლებულ პუნქტში დღემდე არაა გამონახული და კინოქსელზე მიმაგრებული კინოს ჩვენებისათვის ვარგისი შენობები, ბევრგან მოუწყობელია კინოსაპროექციო აპარატურისათვის საჭირო ჯიხურები. ამავე დროს კინოს ჩვენება არც ღია ცის ქვეშ ხდება, რის გამოც მთელი რიგი სოფლები წლობით დარჩენილია კინომომსახურების გარეშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისიის მიერ შემოწმებული ახალქალაქის, ამბროლაურის, ზესტაფონის, ყაზბეგის, გუდაუთის, ქედისა და ხულოს რაიონების 823 სასოფლო დასახლებული პუნქტიდან, რომლებშიაც 410.384 მცხოვრებია, კინომომსახურება არ ეწევა 537 პუნქტს 183.309 მცხოვრებით. ამ რაიონების 587 სოფლიდან, რომლებშიაც 200-ზე მეტი მცხოვრებია, კინომომსახურების გარეშეა დარჩენილი 304, ხუთასზე მეტ მცხოვრებიან 263 სოფლიდან — 106, ხოლო 1000-ზე მეტ მცხოვრებიან 94 სოფლიდან — 22. მათ შორისაა ზესტაფონის რაიონის სოფლები ქვედა კვალითი, ცხრაწყარო, ეწერი, თუზი, ოქონა, სანახშირე, ახალქალაქის რაიონის სოფლები ტურცხი, ხანდო, დადეში, ხოჯაბეგი, დიდი გონდრიო, გუდაუთის რაიონის სოფლები შკვანა, აჯიმჩილრა, დაბა, ინკითი, ფანტანკა და სხვ.

თითქმის არც ერთ რაიონში არ სრულდება ზემდგომი ორგანოების მიერ დამტკიცებული სოფლის კინოქსელის განვითარების 1960—1965 წლების გეგმა. ადგილობრივი საბჭოები, საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ კლუბებისა და კინოს საჩვენებელი დარბაზების მშენებლობას და მაქსიმალურად არ იყენებენ თავიანთ შესაძლებლობებს.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მომარაგება-გასაღების სამმართველო ძალზე ცუდად ამარაგებს კინოსარემონტო სახელოსნოებსა და კინოქსელს საჭირო მასალებით, აპარატურის სათადარიგო ნაწილებით, საბურავებით, სარეკლამო ქაღალდით, რის შედეგად ადგილი აქვს მოცდენებს და ტექნიკურად გაუმართავი აპარატურით კინოფილმების ჩვენებას; კინოს ჩვენების ხარისხი ხშირად დაბალია იმ მიზეზითაც, რომ სოფლის კინოქსელი უზრუნველყოფილი არ არის მექანიკოსთა კვალიფიციური კადრებით; მექანიკოსთა მოსამზადებელი რესპუბლიკური სკოლის ბაზა ვერ პასუხობს მოთხოვნილებებს.

კინოფილმების ასლთა რაოდენობის სიმცირის გამო სოფლად ძირითადად უჩვენებენ ქალაქის დანადგარებიდან მოხსნილ ტექნიკურად მდარე ხარისხის ფილმებს; მეტად დაბალია კინოფილმების გამოყენების კოეფიციენტი; კინოგაქირავების რესპუბლიკური კონტორა და მისი სარაიონთაშორისო განყოფილებები ყოველთვის არ ადგენენ სარეპერტუარო გეგმებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა ჯერ კიდევ ვერ შეძლო სოფლის კინოქსელის საკმაო რაოდენობის ქართული და ქართულ ენაზე დუბლირებული ფილმებით უზრუნველყოფა, ოის გამო სოფლად კინოფილმებს ძირითადად რუსულ ენაზე უჩვენებენ; ხშირია შემთხვევები, როდესაც ერთიდაიგივე კინოფილმს რამოდენიმეჯერ უჩვენებენ.

ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების, მათი კულტურის განყოფილებებისა და საწარმოო სამმართველოების უყურადღებობის შედეგად სოფლად იშვიათად უჩვენებენ სასოფლო-სამეურნეო თემატიკაზე შექმნილ სამეცნიერო-პოპულარულ ფილმებს სათანადო ლექციებისა და საუბრების ჩატარებით. თითქმის არ ეწყობა კინოფილმების თემატიკური კვირეულები, საღამოები, ფესტივალები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუსტად ხორციელდება კონტროლი კინოქსელის მუშაკთა საქმიანობაზე, ჯერ კიდევ ხშირია კინოსეანსებზე უბილეთო მაყურებელთა დასწრების ფაქტები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად დღემდე არ სრულდება მოსახლეობის კინომომსახურებისა და კინოდან შემოსავლების სახელმწიფო გეგმები. მიმდინარე წლის 9 თვის შემოსავლის გეგმა საერთოდ რესპუბლიკაში შესრულებულია 91 პროცენტით, შემოწმებულ 7 რაიონში კი — 96 პროცენტით.

აჭარის ასს რესპუბლიკისა და ლენტეხის რაიონის გარდა რესპუბლიკაში გეგმები არც ერთ რაიონს არ შეუსრულებია. გეგმასთან შედარებით სახელმწიფომ კინოქსელისაგან ვერ მიიღო 852,1 ათასი მანეთი, აქედან სოფლად — 249,1 ათასი მანეთი.

სოფლის მოსახლეობის კინომომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

ა) მიმდინარე წლის 15 ნოემბრამდე გულდასმით შეისწავლონ სოფლის კინოქსელის მუშაობა, დასახონ და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი სოფლის მოსახლეობის კინომომსახურების მკვეთრი გაუმჯობესების, კინოდან შემოსავლების გადიდებისა და სახელმწიფო გეგმების შესრულების უზრუნველსაყოფად;

ბ) უახლოესი სამი თვის ვადაში მოაწყონ კინოჩვენების ორგანიზაცია ყოველ სასოფლო დასახლებულ პუნქტში, პირველ რიგში სოფლებში, სადაც 50 და მეტი კომლი ცხოვრობს; ამ მიზნით შეაკეთონ ყველა სოფელთან მისასვლელი გზები, გამონახონ და მუდმივად მიამაგრონ კინოქსელს კინოჩვენებისათვის ვარგისი შენობები; სოფლებში, სადაც არ არის შესაფერისი შენობის გამონახვის შესაძლებლობა, უზრუნველყონ უბრალო ტიპის კინომოედნების გაკეთება და სოფლის აქტივის მეოხებით ბილეთების წინასწარი რეალიზაციის გზით კინოფილმების ჩვენება ღია ცის ქვეშ ავტოკინოძრავებით;

9049.

გ) მკვეთრად აამაღლონ კონტროლი კინოქსელის მუშაკთა საქმიანობისადმი და აღკვეთონ კინოსეანსებზე უბილეთო მაყურებელთა დასწრების შემთხვევები.

დ) გააძლიერონ მუშაობა კინოში მაყურებელთა მოსაზიდავად და კინოსეანსებზე საშუალო დასწრების ასამაღლებლად, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სასოფლო-სამეურნეო კინოფილმების სისტემატური ჩვენების ორგანიზაციას, ხშირად მოაწყონ თემატური საღამოები, კინოფესტივალები, გააუმჯობესონ რეკლამა.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს:

ა) გაატაროს საჭირო ღონისძიებანი ქართული და ქართულ ენაზე დუბლირებული კინოფილმების გამოშვების გეგმის შესრულებისათვის და ამ ფილმების ასლებით სოფლის კინოქსელის უზრუნველსაყოფად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს კინოსურათების ჩვენებას იმ ენაზე, რომელიც საჭიროა მოცემული რაიონის მოსახლეობის ნაციონალური შემადგენლობის მიხედვით;

გ) გადაჭრით გააუმჯობესოს კინოგაქირავების რესპუბლიკური კონტორისა და მისი სარაიონთაშორისო განყოფილებების საქმიანობა, არ დაუშვას უხარისხო და წინასწარ შეუმოწმებელი კინოფილმების დემონსტრირება, მიაღწიოს კინოფილმების ინტენსივობის მკვეთრ ამაღლებას, ყოველ ცალკე დანადგარისათვის ყოველთვიური სარეპერტუარო გეგმის შედგენას და მის განუხრელად შესრულებას;

დ) უზრუნველყოს კინოქსელისათვის საჭირო კინომექანიკოსთა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, ამისათვის რესპუბლიკურ სკოლას შეუქმნას მუშაობისათვის ნორმალური პირობები;

ე) კონტროლი გაუწიოს აღნიშნული დადგენილების შესრულებას და შედეგი მოახსენოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1964 წლის 1 ივლისისათვის.

3. დაევალოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს უახლოეს ხანში აღმოფხვრას სერიოზული ნაკლი მომარაგება-გასაღების სამმართველოს საქმიანობაში და შეუფერხებლად მოამარაგოს რესპუბლიკის კინოქსელი და კინოსარემონტო სახელოსნოები სათადარიგო ნაწილებითა და მასალებით, კინოაპარატურით, სატრანსპორტო საშუალებებით, საბურავებით.

4. საჭიროდ იქნას ცნობილი, რათა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ უახლოეს დღეებში განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი:

ა) სახელმწიფო კინოქსელის მმართველობითი ორგანოების შექმნის, სტრუქტურისა და შტატების შესახებ;

ბ) შეამოწმოს სოფლის კინოქსელის განვითარების 1960—1965 წლების გეგმის შესრულების მიმდინარეობა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1963 წლის 10 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

462 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების გურჯაანის რაიონის ვეჯინის № 168 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 39, 40 და 41 მუხლების საფუძველზე დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების გურჯაანის რაიონის ვეჯინის № 168 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისია საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების შემდეგი წარმომადგენლების შემადგენლობით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **გაბიტაშვილი** შალვა ივანეს ძე სოფელ ვეჯინის საშუალო სკოლის მუშა-მოსამსახურეებისაგან;

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **დარჩიაშვილი** ილია ალექსის ძე — ბაკურციხის ტერიტორიული პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — **მჭედლიშვილი** ნაზო გიორგის ასული — სოფელ ვეჯინის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

მანიჟაშვილი თინა იოსების ასული — ჭანდრის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომის მუშა-მოსამსახურეებისაგან;

მუნჯიაშვილი ზურაბ ათანეს ძე — სოფელ ბაკურციხის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

სეფიაშვილი ნიკოლოზ გიორგის ძე სოფელ ვეჯინის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

არჯევნიშვილი სერიკო ზაქარიას ასული — სოფელ ჭანდრის კოლმეურნეობის პირველადი კომკავშირული ორგანიზაციისაგან;

სონღულაშვილი არჩილ დავითის ძე — სოფელ ჭანდრის კოლმეურნეობის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

გოისაშვილი მაყვალა სიკოს ასული — სოფელ ბაკურციხის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1963 წლის 19 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

463 ამხ. ნ. ე. ჭახრაკიას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს ამხ. ნიკოლოზ ერმალოს ძე **ჭახრაკია** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1963 წლის 25 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

464 ამხ. გ. ნ. ჯიბლაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. გიორგი ნიკოლოზის ძე **ჯიბლაძე** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1963 წლის 25 ოქტომბერი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

465 საქართველოს სსრ საბჭოთა მილიციის წითელი დროშის დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაწესდეს საქართველოს სსრ საბჭოთა მილიციის წითელი დროშა.

დამტკიცდეს საქართველოს სსრ საბჭოთა მილიციის წითელი დროშის აღწერილობა და დებულება.

2. საქართველოს სსრ საბჭოთა მილიციის წითელი დროშა გადაეცეს საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მილიციის სამმართველოს, აფხაზეთის ასსრ მილიციას, აჭარის ასსრ მილიციას, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მილიციას, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მილიციის სამმართველოს, ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მილიციის განყოფილებას, ქ. თბილისის მილიციის სკოლას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

თბილისი. 1963 წლის 28 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ საბჭოთა მილიციის წითელი დროშის შესახებ

1. საბჭოთა მილიციის წითელი დროშა მილიციის სახელისა და ღირსების სიმბოლოა. იგი მოაგონებს მილიციის თვითეულ მუშაკს მის წმიდათა წმიდა მოვალეობას ერთგულად ემსახუროს საბჭოთა სამშობლოს, მამაცურად დაიცვას სოციალისტური საკუთრება, მოქალაქეთა პიროვნება, მათი უფლებები და სოციალისტური მართლწესრიგი დანაშაულებრივი ხელყოფისაგან.

2. დროშა გადაეცემა მილიციის რესპუბლიკურ, საოლქო, საქალაქო სამმართველოებს და მილიციის მსხვილ საქალაქო გარნიზონებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს წარდგინებით.

3. საქართველოს სსრ საბჭოთა მილიციის წითელი დროშა გადაეცემა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით.

4. ვიდრე მილიციის ორგანო არსებობს, დროშა მას უნდა ჰქონდეს.

5. მილიციის მთელი პირადი შემადგენლობა მოვალეა გაუფრთხილდეს დროშას და დაიცვას იგი.

თუ დროშა დაიკარგა, სამართალში მიეცემა მილიციის ის მუშაკი, რომელსაც უშუალოდ მიუძღვის ბრალი ასეთ სამარცხვინო მოქმედებაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ა

საქართველოს სსრ საბჭოთა მილიციის წითელი დროშისა

წითელი დროშაა ორპირა ქსოვილი, რომელსაც აქვს ტარი და ფოჩებიანი ზონარი.

დროშის ქსოვილი სწორკუთხედია, სიგრძით 145 სანტიმეტრი, სიგანით 115 სანტიმეტრი, მზადდება ორპირი წითელი აბრეშუმის ფაისაგან და სამი მხრიდან კიდეებზე შემოვლებული აქვს ოქროსფერი აბრეშუმის არშია.

ქსოვილის ერთ მხარეზე ცენტრში ამოქარგულია ლენინის პორტრეტი ფერადი აბრეშუმისაგან 48 × 46 სანტიმეტრი ზომისა. პორტრეტის ზემოთ წარწერაა: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ (ქართულ და რუსულ ენებზე).

ქსოვილის მეორე მხარეზე ცენტრში საქართველოს სსრ გერბია, რომლის დიამეტრია 50 სანტიმეტრი. გერბი ამოქარგულია ოქრომკედით ბორდოსფერ აბრეშუმზე. გერბის ზემოთ წარწერაა: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“, ქვემოთ — „საბჭოთა მილიცია“.

წარწერის ასოების სიმაღლე 7 სანტიმეტრია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროშის ტარი ხისაა და მრგვალია, დიამეტრი 4 სანტიმეტრია, სიგრძე 250 სანტიმეტრი. ტარი შეღებილია მუქ ყავისფრად, ქვედა ბოლოზე აქვს ლითონის სალტე, ხოლო ზედაზე — მონიკელებული ბუნიკი.

დროშის ზონარი დაძახულია, მზადდება ოქროსფერი აბრეშუმისაგან, ბოლოებზე თითო ფოჩი აქვს. ზონარის სიგრძეა 270 სანტიმეტრი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

მიმდინარე წლის 21-22 ოქტომბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოაწყო საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან არსებული სამეთვალყურეო კომისიების თავმჯდომარეების თათბირ-სემინარი, რომელზეც განხილული იყო ამ კომისიების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხები. მასში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს, საქართველოს სსრ პროკურატურისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის ხელმძღვანელმა მუშაკებმა.

თათბირ-სემინარი გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ამხ. **ზ. ა. კვაჭაძემ.**

თათბირ-სემინარის მონაწილეთა წინაშე მოხსენებებით გამოვიდნენ საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრის მოადგილე ამხ. **ვ. ი. შადური,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარე ამხ. **მ. ყ. ლომიძე,** რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე ამხ. **გ. ს. ბიწაძე,** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროსა და რესპუბლიკის პროკურატურის პასუხისმგებელი მუშაკები. თათბირ-სემინარის მონაწილენი გაეცნენ დებულებას სამეთვალყურეო კომისიების შესახებ და სხვა სახელმძღვანელო დებულებებსა და ინსტრუქციებს.

თათბირ-სემინარის მუშაობა შეაჯამა ამხ. ზ. ა. კვაჭაძემ.